თანხმობა

შპს დიდგორი (ს/ნ: 236053122) წარმოდგენილი დირექტორი, ბადრი მენაბდიშვილი (პ.ნ: 01017003846) ვაცხადებ თანხმობას მასზედ რომ, შპს „რივერსაიდ დიღომმა“ (ს/ნ: 405218107) აწარმოოს სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში ქ.თბილისში დიღმის სასწავლო საცდლი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.72.14.008.293) არქ. სამსახურში შეთანხმებული პროექტის საფუძველზე (ბრძანება № 5330321) მშენებლობის ნებართვის მიღება

შპს დიდგორი (ს/ნ: 236053122) წარმოდგენილი

დირექტორი: ---------- ბადრი მენაბდიშვილი

ბადრი მენაბდიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220071019
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.01.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	58086968002122

მე, ნოტარიუსს მარიკა გოგოლაძეს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N 183, მოწმართა:
ბადრი მენაბდიშვილმა (დაბ. 02/01/1965წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, დანიელ ჭონქაძეს ქუჩა, N 15/12, ბინა 10, პ/ნ 01017003846, 17IB39101 გაც. 31.07.2017წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ)

მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე ნოტარიატის შესახებ "საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „ზ" პუნქტისა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე. შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მე, მას განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე, დამოწმებისას ნოტარიუსი, ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი + დღგ ოცდათექვსმეტი თეთრი, + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31, 39 და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59644573130822

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220081155

რეგისტრაციის თარიღი

27.01.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39
ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #39 „ა“, პირველი სართული, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ნინო აბაიშვილი** (დაბ 02.07.1990წ, თბილისი, პ/ნ 01030047611) **როგორც შპს „რივერსაიდ დიღომი“ს (საიდენტიფიკაციო კოდი 405218107) დირექტორი** (რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „რივერსაიდ დიღომი“ს (საიდენტიფიკაციო კოდი 405218107) შესახებ, მომზადების თარიღი 18/10/2021) რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **ქ.თბილისში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო აქტის მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნინო აბაიშვილმა** მომმართა.

სანოტარო აქტის დადასტურებას ესწრებოდნენ: **ნიკოლოზი სიჭინავა** - (პ/ნ - 01017045956), როგორც მიმნდობის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **ბესიკ ერიაშვილი-ქუთათელაძე** (პირადი #01030052708), როგორც მოწმე.

მე, ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. მოწმემ და მიმნდობმა განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები.

ვადასტურებ, რომ სანოტარო აქტის მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო აქტის მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო აქტის შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით **ნინო აბაიშვილს** წაეკითხა შეთავაზებული ტექსტი

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, **ნინო აბაიშვილი,როგორც შპს „რივერსაიდ დიღომი“ს (საიდენტიფიკაციო კოდი 405218107) დირექტორი** უფლებას ვანიჭებ **ალექსანდრე ჩუბინიძეს** (პ/ნ 01007011985) მასზედ, რომ:

მინდობილი პირი უფლებამოსილია, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში ატვირთოს საჭირო დოკუმენტაცია ქ.თბილისში დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის საფუძველზე (**ბრძანება № 5330321**) მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ეკატერინე გვანცელაძემ რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს, რომელმაც დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ნიკოლოზი სიჭინავას.**

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ე. გვანცელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს, იმ ეგზემპლარს,რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „რივერსაიდ დიღომი“ს (საიდენტიფიკაციო კოდი 405218107) შესახებ, მომზადების თარიღი 18/10/2021).

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდილია საზღაური 61 ლარი. აქედან, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. #507 დადგენილების 32-ე მუხლის საფუძველზე - 50 ლარი, დღგ - 9 ლარი თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და ელექტრონულ რეესტრში რეგიტრაციისათვის 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. #507 დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე.

ხელმომწერი პირი **ნიკოლოზი სიჭინავა** ნიკოლოზი სიჭინავა

მოწმე: **ბესიკ ერიაშვილი-ქუთათელაძე** ბესიკ ერიაშვილი-ქუთათელაძე

ნოტარიუსი: **/ეკატერინე გვანცელაძე/**